ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3377887

ნომერი: AR1518552

თარიღი : 29.06.2017

გაცემის თარიღი : 06.07.2017

გაცნობის თარიღი : 06.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი , მეურნეობის ტერიტორია ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლეილა შუბაშიკელი პ/ნ 24001005449
- თბილისი დ. წყნეთი ქ.ჩოლოყაშვილის ქ. N 8ა

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების

მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1518552 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.006.278) ფუნქციური დანიშნულების სასოფლო სამეურნეოს არასასოფლო-სამეურნეოთი ცვლილებასა და შემდგომში სამშენებლოდ განვითარებასთან განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:
გაცნობებთ, რომ მოცემული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.006.278) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 04/06/2014 წლის AR1226160 განცხადების საფუძველზე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გადაწყვეტილება №1341868), სასაწყობე ობიექტის განთავსების მიზნით, რომლითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ. არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფუნქციური დანიშნულების სასოფლო-სამეურნეოდან არასასოფლო-სამეურნეოთი ცვლილებასა და მისი მოქმედი ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესაბამისად სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით, ხოლო საპროექტო ობიექტების ფუნქციური დანიშნულების ცვლილების ან/და დამატებითი ფუნქციური დანიშნულების გაჩენის შემთხვევაში, საჭირო იქნება აღნიშნულ აქტში ცვლილების შეტანა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.